



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46 50

05/08/2015

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ა(ა)იპ (ეპ)-ის რეორგანიზაციის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 ივლისის №45/162 წერილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა შემდეგი ა(ა)იპ-ებ ის რეორგანიზაციაზე, კერძოდ:

1. მოხდეს ა(ა)იპ თერჯოლის კომპლექსური სპორტული სკოლის შერწყმა თერჯოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუნიციპალურ ცენტრთან და ეწოდოს ა(ა)იპ თერჯოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი.
2. მოხდეს ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო მუნიციპალური ცენტრის შერწყმა ა(ა)იპ კულტურული განვითარების ცენტრთან და ეწოდოს ა(ა)იპ თერჯოლის კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი
3. აღნიშნული ცვლილებები დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7) კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ავთანდილ ჩუბინიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

